საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

ქ. ახმეტა ,, 20” ივნისი, 2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
№50

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ტენდერების მრავალგზის ჩაშლის გამო მიეცეთ თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მუნიციპალიტეტის მხარჯავ-შემსყიდველ ორგანიზაციებს 2011 წელს დაგეგმილი ადგილობრივი შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული სატენდერო პროცედურების დადგომამდე, განახორციელონ საავტომობილო საწვავისა და საკვები პროდუქტების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა 2011 წლის 31 დეკემბრამდე.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიას;
3. განკარგულება გაეგზავნოს მუნიციპალიტეტის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს და ადგილობრივი ბიუჯეტის მხარჯავ–ორგანიზაციებს;
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის №41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარe: ალექსი მაილაშვილი

0900 ქ. ა ხ მ ე ტ ა , ☎ +995 249 2-22-99 ფ ა ქ ს ი : +995 250 7-64-87
ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ს ქ . № 49 +995 249 2-15-29 +995 249 2-15-17
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@yahoo.com